

## ქართული ცივილიზაციის მეტი

ცნობილ მეცნიერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქართველ მოსამართლეს ლადო ჭანტურას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. სიამოვნებით და გულწრფელი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ წარმატებებს სამშობლოს მსახურებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინარე პერიოდში მან შეიქმნა მტკიცე თეორიული და პრაქტიკული ბაზა იურისპრუდენციის მწერვალებისკენ სავალ უძნელებს გზაზე. მისი სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩემი დეკანობის ადრინდელ ეტაპს დაემთხვა. მას შემდეგ ყურადღებით ვაკვირდები მისი ნიჭის ელვარებას, აზროვნების სილადეს, ცხოვრების წესს და ჩემთვის საამაყო მის ყოველ მიღწევას.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებას ლოგიკურად მოჰყვა ასპირანტობა და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატობა, უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება და სტუდენტობასთან სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა, უმაღლესი სამეცნიერო ხარისხისათვის ნაყოფიერი მუშაობა და სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვა.

ახალგაზრდა პროფესორმა მთელი ძალისხმევა მიმართა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების დოქტრინალური დებულებების ქართულ კერძო სამართალში იმპლემენტაციისაკენ, აშკარად გრძნობდა რა საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვის პროცესში დასავლურ სამართალზე არჩევანის გაკეთების აუცილებლობას. ამიტომ გაააქტიურა მან ევროპის, უმეტესად კი გერმანიის სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან შემოქმედებითი კონტაქტები. მაქს პლანკის კერძო სამართლის ინსტიტუტის, გეტინგენის უნივერსიტეტისა და ფონ ჰუმბოლტის ფონდის სამეცნიერო სტიპენდიანტობამ განაპირობა კილისა და ბრემენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

ლადო ჭანტურია რამდენიმე იმ საერთაშორისო პროექტის ექსპერტი, კოორდინატორი, თანაავტორი და ხელმძღვანელი გახდა, რომელთა მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში კერძო სამართლის რეფორმის განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება კი საქართველოში ახალი სამეურნეო სისტემების დამკვიდრების ამოცანებით განპირობებულ საკოდიფიკაციო საქმიანობას დაეთმო. პარალელურად, საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება, ქართული და უცხოური



*M. Z...*

იურიდიული ჟურნალების რედაქტორთა კოლეგიების მუშაობაში ჩართვა, ცნობილ იურისტთა საიუბილეო კრებულების გამოცემა, ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის შემოქმედებითი კავშირების განმტკიცებისათვის ზრუნვა მის ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა. შედეგად მოექცა საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოებების ყურადღების ცენტრში და სხვადასხვა დროს აირჩიეს: შედარებითი სამართლის საერთაშორისო აკადემიის, ყაზახეთის საერთაშორისო არბიტრაჟის, საკორპორაციო სამართლის საერთაშორისო კავშირის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრად და რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად; მიანიჭეს ჯორჯ შულცის სამეცნიერო პრემია, წლის საუკეთესო საქართველო სტატიის ავტორის პრიზი და სამართლის რეფორმატორის წოდება, გერმანიამ კი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი – სახელმწიფოს წინაშე დამსახურების ჯვრით დააჯილდოვა.

დიდია პროფესორ ლადო ჭანტურიას წვლილი იურიდიული მეცნიერების განვითარებაში. იგი კერძო და საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე ქართულ და უცხოურ ენებზე შექმნილი 250-მდე შრომის ავტორი და ორმოცდაათამდე მონოგრაფიისა და სასწავლო წიგნის რედაქტორია. მისი შრომებიდან ათეულობით მონოგრაფია, სახელმძღვანელო და ფართო საზოგადოებებისათვის განკუთვნილი პოპულარული წიგნია. თავისი მნიშვნელობით რომელიმეს გამორჩევა ძნელია. ჩამოთვლა კი სიმრავლის გამო – შეუძლებელი.

მათი ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით იქნა გამოყენებული ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესში. საქართველოს კონსტიტუცია, მეწარმეთა შესახებ კანონი და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა მომზადება-მიღებაში მან წონადი მონაწილეობა მიიღო, ის ფუძემდებლური სამართლებრივი აქტებია, რომლებიც საქართველოში კერძო საკუთრების, სამეწარმეო საქმიანობის და ხელშეკრულების თავისუფლების დამკვიდრების საფუძველი გახდა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ევროპული მომავალი. ახალი ეპოქის სამართლებრივ აქტებს ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერპრეტაცია მოჰყვა, რომელიც ქვეყნისათვის აქამდე უცნობი საზოგადოებრივი ურთიერთობების სწორი სამართლებრივი რეგულირების ორიენტირი გახდა.

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი პროფესორმა ლადო ჭანტურიამ პროფ. თედო ნინიძის თანაავტორობით განახორციელა. ის რამდენჯერმე გამოიცა და სამეწარმეო სამართლის სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებდა. მის საფუძველზე შეიქმნა კერძო სამართლის სპეციალური დარგი – საკორპორაციო სამართალი.

პროფესორ ლადო ჭანტურიას, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მიერ შექმნილი კაპიტალური შრომები ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარების უნიკალური ექსტრემულის მომზადებისა და გამოცემის რამდენიმეწლიანი მუშაობის სიმძიმე კი პროფესორ სერგო ჯორ-

ბენადის ნაადრევად გარდაცვალების გამო ძირითადად პროფესორმა ლადო ჭანტურიამ ზიდა. იგი ამ კომენტარების მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორი და სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელია. კომენტარებზე მუშაობისას სრულად გამოვლინდა მისი კომპარატივისტული ნიჭი. შედარებითი მეთოდების გამოყენების საფუძველზე შრომაში უხვად ჩაირთო უცხო ქვეყნების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ანალიზი. ამაში მას ხელი შეუწყო ძირითადი ევროპული ენების ცოდნამ. წლების შემდეგ სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარები პროფესორ ლადო ჭანტურიას მეთავეობით განხორციელდა.

საბაზრო მეურნეობის შესაბამისმა კანონმდებლობამ საფუძველი დაუდო კერძო სამართლის სისტემის სრულყოფას და მისი ცალკეული დარგების განვითარებას. სამოქალაქო სამართალი, როგორც მეცნიერების დარგი და სასწავლო დისციპლინა, მეტწილად ეფუძნება პროფესორ ლადო ჭანტურიას მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც სტუდენტი ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნებად იქცა და დიდ სტიმულს წარმოადგენს ცივილური მეცნიერებისა და პრაქტიკის დაუფლების გზაზე.

პროფესორმა ლადო ჭანტურიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა პრაქტიკულ საქმიანობაშიც. წლების მანძილზე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი, იუსტიციის საბჭოს წევრი, იუსტიციის მინისტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფისა და საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და სამართლებრივი ორგანოების რეფორმის უწყებათმორისი კომისიის ხელმძღვანელი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ზემოაღნიშნულის გამო პროფესორი ლადო ჭანტურია კანონზომიერად ითვლება ქართული ცივილისტიკის ერთ-ერთ მთავარ მესამირკვლედ და მისი შემდგომი განვითარების გარანტად.

ამჟამად პროფესორი ლადო ჭანტურია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლოს არჩეული მოსამართლეა საქართველოდან. ეს მისი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებისა და საერთაშორისო დონის იურისტად ცნობის დასტურია.

სასურველია, მისი ამაგი ეროვნულმა აკადემიურმა და სამეცნიერო დაწესებულებებმაც გაითვალისწინონ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ საიუბილეო თარიღს ბატონ ლადოს და ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს ქალბატონ დალისთან, გიორგისთან და ნუციკოსთან ერთად.

## რომან ხენგულია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი